HEIDELBERGCEMENT

სტანდარტი

სტუმრებისა და კონტრაქტორების უსაფრთხოება

მოქმედების სფერო:	ჯგუფი
ავტორი:	ჯგუფის HR/H&S
შედგენილია:	**01/2008**
განახლება:	**11/2019**
ვერსია	**4.0**

შინაარსი

1 შესავალი 3

2 მიზანი 3

3 მოქმედების სფერო 3

4 როლი და პასუხისმგებლობები 3

5 განმარტებები 4
5.1 სტუმარი 4
5.2 კონტრაქტორი 4

6 სტუმრების უსაფრთხოება სამუშაო ობიექტზე 5

7 კონტრაქტორის უსაფრთხოება 6
7.1 კონტრაქტორების მართვა – შიდა ზომები 6
7.1.1 კონტრაქტორის შერჩევა-შეფასება 6
7.1.2 საკონტაქტო პირი 6
7.1.3 წინა შეფასების ფაზა 7
7.1.4 H&S ინსტრუქტაჟი 7
7.1.5 კონტრაქტორის საქმიანობის კონტროლი 7
7.1.6 სამუშაოს შემდგომი შეფასება 8
7.2 კონტრაქტორების მართვა- განმარტებები, წესები და პირობები 8
7.2.1 ძირითადი მოთხოვნები 8
7.2.2 შრომის უსაფრთხოებაზე საკონტაქტო პიროვნების განსაზღვრა 9
7.2.3 რისკების შეფასება 9
7.2.4 კონტრაქტორი თანამშრომლების სწავლებები 10
7.2.5 ინციდენტების რეპორტინგი 10

8 დანერგვის პროცესი და კონტროლი 10

9 დამატებითი ინფორმაცია 10

1 შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს მენეჯერებისათვის და სტრუქტურული დანაყოფებისათვის HTC, CCM, CCR, შესყიდვები, ლოჯისტიკა და ა.შ. რათა დადგინდეს და განისაზღვროს მინიმალური მოთხოვნები შრომის უსაფრთხოების კუთხით სტუმრებისა და კონტრაქტორების მიმართ

ადგილობრივ დონეზე გატარებული უნდა იქნას შესაბამისი ზომები, რათა პროცესი იყოს თანხვედრაში აღნიშნულ სტანდარტთან. ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც გატარებული იქნება სტანდარტის დანერვისკენ უნდა აკმაყოფილებდეს, როგორც ადგილობრივ საკანონმდებლო ასევე არსებული სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში თუ წარმოიშვება კონფლიქტი სტანდარტსა და კანონმდებლობას შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყველაზე მკაცრ მოთხოვნას.

2 მიზანი

აღნიშნული სტანდარტის მიზანია, შეიქმნას ეფექტური ზომები, რაც დაკავშირებულია კომპანიის სამუშაო ობიექტებზე კონტრაქტორის საქმიანობასთან ან ვიზიტორის არსებობასთან.

აღნიშნული სახელმძღვანელო განსაზღვრულია:

1) სტუმრები ეცნობიან და იცავენ შრომის უსაფრტხოების მოთხოვნებს სამუშაო ობიექტზე
2) კონტრაქტორები საკუთარი საქმიანობის ფარგლებში იცავენ ორგანიზაციაში არსებულ უსაფრთხოების მოთხოვნებს, წესებსა და რეგულაციებს.

აღნიშნული წესები არის სავალდებულო სტუმრებისა და კონტრაქტორებისათვის.

3 მოქმედების სფერო

აღნიშნული სტანდარტი სავალდებულოა ჰაიდელბერგცემენტის ყველა სამუშაო ობიექტზე.

აღნიშნულ სტანდარტს არ გააჩნია პრეტენზია სრულყოფილებაზე

„საჭირო“ და „სავალდებულო“ მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაინერგოს სავალდებულოა შესასრულებლად.

.

4 როლი და პასუხისმგებლობები

არსებული სტანდარტი იძლევა მკაფიო ფორმულირებას იმ როლსა და პასუხისმგებლობებზე, რომლებიც აკისრიათ ადგილობრივ პერსონალს არსებული სტანდარტის დანერგვისათვის.

მმართველი საბჭო და ქვეყნის აღმასრულებელი კომიტეტები

მათ გააჩნიათ პირველი და გადამწყვეტი როლი არსებული სტანდარტის დანერვისათვის. ისინი ვალდებულნი არიან გამოავლინონ თავიანთი ჩართულობა, ლიდერობა არნიშნული სტანდარტის დანერგვისათვის.

უფროსი და ფუნქციონალური მენეჯერები

მაღალი დონის მენეჯერებს, შესყიდვების მენეჯერებს ასევე პროცესში შემხებლობაში მყოფ მენეჯერებს HTC, CCM, CCR გააჩნიათ პირდაპირი ვალდებულება და პასუხისმგებლობა არსებული სტანდარტის დანერგვისათვის.

იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი ენა არ არის ინგლისური, ვალდებულნი არიან არსებული სტანდარტის თარგმნაზე და მიწოდებაზე ყველა დაინტერესებული მხარისათვის მათვის გასაგებ ენაზე.

დარგის ადგილობრივი მენეჯმენტი ვალდებულია დარწმუნდეს რომ არსებული სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები დაცულია და გატარებული ყოველდღიურ ცხოვრებაში.

შრომის უსაფრთოების მრჩევლები

შრომის უსაფრთხოების მრჩევლები აძლევენ მიმართულებას, რჩევასა და სწავლებას შესაბამის პირებს არსებული სტანდარტის დანერგვაში. სტანდარტის დანერგვაზე პასუხისმგებლობა გააჩნია დარგის მენეჯმენტს

თანამშრომლები და კონტრაქტორები

- ვალდებულნი არიან დაიცვან ყველა არსებული უსაფრთხოების ზომები და გამოიყენონ სავალდებულო ინდ დაცვის საშუალებები;
- განახორციელონ ანგარიშგება პოტენციურ საფრთხეებზე მათ პირად ხელმძღვანელობასთან
- შეაჩერონ სამუშაოს შესრულება თუ არსებობს მაღალი რისკები და მოახსენონ არსებულის შესახებ პირად ხელმძღვანელობას

5 განმარტებები

5.1 სტუმარი

ნებისმიერი პიროვნება, რომელიც არ არის თანამშრომელი, კონტრაქტორი ან ქვეკონტრაქტორი და შემოდის კომპანიის ტერიტორიაზე. სტუმრის მაგალითია:

- ჰაიდელბერგცემენტის ტანამშრომელი, რომელიც მიდის ობიექტზე, რომელიც არ წარმოადგენს მის სამუშაო ადგლზ;
- კლიენტი, რომელიც შედის პროდუქციის საყიდლად და რომელიც არ არის კონტრაქტორი;
- მომწოდებელი, რომელიც აწვდის ორგანიზაციას გარკვეულ პროდუქციას და არ არის კონტრაქტორი;
- ადმინისტრაციის თანამშრომლები;
- სტუმრები, რომლებიც მოდიან ობიექტის დასთვალიერებლად ან თანამშრომლები რომლებიც აკომპანირებას უწევენ სტუმრებს;
- ნებისმიერი მესამე მხარე, რომელიც მოდის სამუშაო ობიექტზე მენეჯმენტთან შეთანხმებით.

5.2 კონტრაქტორი

პიროვნება, ორგანიზაცია რომელიც კონტრაქტის საფუძველზე ახორციელებს მოკლევადიან ან გრძელვადიან სპეციფიურ სამუშაოს კომპანიის ტერიტორიაზე ან მის გარეთ. ასევე

ორგანიზაციები, რომლებიც ჩართულნი არიან სპეციფიურ პროექტებში, როგორიცაა მშენებლობა, სამუშაო ობიექტის განახლება და ა.შ.

კონტრაქტორები შეიძლება დაიყონ მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით.

	სამუშაო	**მაგალითი**
კატეგ 1	ორგანიზაცია ან პიროვნება, რომელიც ჩართულია უკვე არსებულ ოპერაციებში სამუშაო ობიექტის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ. აღნიშნული კატეგორიის კონტრაქტორებს გააჩნიათ ისეთივე ვალდებულებები, როგორიც კომპანიის სხვა თანამშრომლებს	- ადმინისტრაცია - ტექ, მრჩევლები - დამლაგებლები - კვების ობიექტის მუშაკები - დაცვა
კატეგ. 2	<u>დიდი კომპანიები</u> (პროექტი≥ 400 საათი) ჩართულნი დროებით ან მუდმივ ოპერაციებში	- სამშენებლო - კარიერები (მძღოლები, ამფეთქებლები) - პროცესის ოპერატორები (დაცლა/დატვირთვა) - საწარმოს დამლაგებლები - ნარჩენების გამტანები
კატეგ 3	<u>მცირე კომპანიები</u> (პროექტი < 400 საათი) ჩართულნი დროებით ან მუდმივ ოპერაციებში.	
კატეგ. 4	კომპანიები ან პიროვნებები, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს კომპანიის ობიექტიდან მოშორებით.	- სატრანსპორტო სერვიზი, რკინიგზა, …) - დისტრიბუცია - ძირითადი საშუალებების მომწოდებლები

6 სტუმრების უსაფრთხოება სამუშაო ობიექტზე

ჰაიდელბერგცემენტის სამუშაო ობიექტებზე დაუშვებელია არაავტორიზებული შესვლა. ამის შესახებ განთავსებული უნდა იყოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები კომპანიის სამუშაო ობიეტის შესასვლელებში.

კომპანიის სტუმრებმა უნდა მიიღონ შრომის უსაფრთხოებაზე სავალდებულო ინფორმაცია, და ისინი არ უნდა დარჩნენ მარტო კომპანიის ტერიტორიაზე. სამუშაო ობიექტის წარმოამადგენელი მუდმივად უნდა იმყოფებოდეს მასთან სტრუმრობის სრულ პერიოდში. სამუშაო ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე ინფორმაცია უსაფრთხოებაზე შესაძლოა მიწოდებულ იქნას როგორ ნიშნების ან ფლაერების მეშვეობით, ასევე სრულფასოვანი ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით.

სტუმრის ინსტრუტქჟი უნდა იყოს დოკუმენტირებული შეძლებისდაგვარად. იმისათვის რომ თავიდან ავირიდოთ ძალიან ხშირ ი ინსტრუქტაჟი ისეთი სტუმრისა, რომელსაც ხშირად უწევთ ობიექტზე შემოსვლა, უნდა განისაზღვროს შესაბამისი ინტერვალი ინსტრუქტაჟის განახლებისათვის.

ინსტრუქტაჟი უნდა მოიცავდეს მინიმუმ::

- ობიექტის ძირითად და სპეციფიურ უსაფრთხოების ზომებს;

- ინფორმაციას საგზაო უსაფრთხოების შესახებ;
- ინფორმაციას ინდ. დაცვის საშუალებების შესახებ;
- ქმედებებს ავარიულ სიტუაციებში
- პასუხისმგებელი პირის ან სავალდებულო საკონტაქტო ინფორმაციას.

სტუმარს მუდმივად უნდა ახლდეს პიროვნება, რომელიც დასაქმებულია ამ კონკრეტულ სამუშაო ობიექტზე. იმ შემთხვევაში თუ სტუმარს უწევს დამოუკიდებელი ქმედება სამუშაო ობიექტზე, ესეთ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს სრულფასოვანი ინსტრუტაჟი და მოხდეს ყოველივე ამის დოკუმენტირება.

ობიექტის მენეჯმენტმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა სამუშაო ობიექტზე არ მოხვდნენ

7 კონტრაქტორის უსაფრთხოება

პირველი კატეგორიის კონტრაქტორი (იხილეთ 5.2) ვალდებულია სრულად დაიცვას ორგანიზაციაში არსებული უსაფრთხოების წესები და მოთხოვნები.

7.1 კონტრაქტორების მართვა – შიდა ზომები

აღნიშნული თავი აღწერს იმ ზომებსა და პასუხისმგებლობებს სამუშაო ობიექტის მენეჯმენტისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნას კონტრაქტორების უსაფრთხოება.

7.1.1 <u>კონტრაქტორის შერჩევა-შეფასება</u>

კონტრაქტორის შერჩევისას განსაზღვრული უნდა იყოს უსაფრთხოების კრიტერიუმები

ჰაიდელბერგცემენტის მენეჯმენტმა უნდა დანერგოს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს კონტრაქტორის წინასწარ შეფასება, მონიტორინგს სამუშაო პროცესში და მის საბოლოო შეფასებას.

შემდეგი სახის წინა საკვალიფიკაციო შემოწმება გათვალისწინებული უნდა იყოს კონტრაქტორის შერჩევის პროცესისას:

- კონტრაქტორის საქმიანობის სახე (მშენებლობა, რემონტი, ტრანსპორტი და ა.შ.)
- მტკიცებულება იმისა, რომ კონტრაქტორს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია და უფლებამოსილება სამუშაოს შესასრულებლად, მაგალითისათვის:
    - შესაბამისი ლიცენზია, რეგისტრაცია ან უფლება მაღალი საფრთხის შემცველი სამუშაოს შესასრულებლად:
    - პერსონალი არის კვალიფიცირებული;
    - არსებობს სისტემა ხელსაწყოების, მოწყობილობების და ა.შ. გამართულობის უზრუნველსაყოფად;
    - დადებითი სტატისტიკური მაჩვენებლები კონტრაქტორის შესახებ.

7.1.2 <u>საკონტაქტო პირი</u>

ჰაიდელბერგცემენტმა უნდა გამოყოს მინიმუმ ერთი პიროვნება ერთ კონტრაქტორზე, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დოკუმენტით გათვალისწინებული ზომების გატარებაზე.

შიდა H&S პროექტის კოორდინატორი (რომელიც დასაქმებულია ჰაიდელბერგცემენტში) არის ჩართული კომპლექსურად პროეტში მისი დაწყებიდან დამთავრებამდე. აღნიშნულ პიროვნებას უნდა გააჩნდეს შესაბამისი უნარები და გამოცდილება, რათა მან შეძლოს არსებული ვალდებულების შესრულება ისევე როგორც ჰაიდელბერგცემენტის თანამშრომლემა

7.1.3 *წინა შეფასების ფაზა*

სამუშაოს დაწყებამდე ჰაიდელბერგცემენტის ადგილობრივი მენეჯმენტი უნდა დარწმუნდეს, რომ კონტრაქტორი მზად არის შეასრულოს სამუშაო შრომის უსაფრთხოების ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით. ყოველივე ეს გულისხმობს:

- მტკიცებულება იმისა, რომ კონტრაქტორს გააჩნია ყველა სახის რესურსი რომ უსაფრთხოდ უხელმძღვანელოს კონტრაქტით გათვალისწინებულ სამუშაოს;
- მტკიცებულება იმისა, რომ კონტრაქტორს გააჩნია პროცესები, რომელიც უზრუნველყოფს ხელსაწყოებისა და მოწყობილობების რეგულარულ შემოწმებას და მათ შესაბამისობას სამუშაოსთან;
- მტკიცებულება იმისა, რომ კონტრაქტორს გააჩნია რისკების კონტროლის მეთოდები როგორებიცაა რისკების შეფასებები, სამუშაო პროცედურები, ნებართვები და კომუნიკაციის გეგმები რამოდენიმე კონტრაქტორის მუშაობის შემთხვევაში
- შეუძლია განახორციელოს შესაბამისი ანგარიშგება;

7.1.4 *H&S ინსტრუქტაჟი*

პასუხისმგებელი მენეჯერი უნდა დარწმუნდეს, რომ კონტრაქტორს სამუშაო ადგილზე გავლილი აქვს უსაფრთხოების ტრეინინგ/ინსტრუქტაჟი სამუშაოსთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საფრთხეებზე სამუშაოს დაწყებამდე.

სწავლება შესაძლოა ჩაატაროს როგორც ჰაიდელბერგცემენტის თანამშრომელმა ასევე კონტრაქტორმა ორგანიზაციამ, ოღონდ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ტრეინინგი ეხება კონტრაქტორის საქმიანობასთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და შესბამის კონტროლის ზომებს. ჰაიდელბერგ ცემენტმა უნდა მიაწოდოს კონტრაქტორს ყველა ის ინფორმაცია რაც დაკავშირებულია სამუშაო ობიექტის სპეციფიკურ საფრთხეებთან:

- ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მინიმუმ ობიექტზე მოქმედ უსაფრთხოების წესებსა და რეგულაციებს;
- შიდა სატრანსპორტო რეგულაციებს;
- მოთხოვნებს ინდ. დაცვის საშუალებების მიმართ;
- ქმედებებს ავარიულ სიტუაციებში;
- საკონტაქტო ინფორმაციას სამუშაო ობიექტზე.

მიწოდებული ინფორმაცია, ინსტრუქტაჟი ან ტრეინინგი, რომელიც ჩაატარა ჰაიდელბერგცემენტის თანამშრომელმა უნდა იყოს დოკუმენტირებული და დაარქივებული.

7.1.5 *კონტრაქტორის საქმიანობის კონტროლი*

კონტრაქტორის საქმიანობის შესაბამისობა ჰაიდელბერგცემენტის მოთხოვნებთან უნდა იყოს შემოწმებული ადგილობრივი ზომებით.

- განსაზღვრული უნდა იყოს კონტრაქტორის შემოწმებისა და კონტროლის პერიოდულობა;
- კონტრაქტორის კატეგორიიდან გამომდინარე, ჰაიდელბერგცემენტის საკონტაქტო პირმა უნდა შეამოწმოს კონტრაქტორის უსაფრთხოების მართვის სისტემა, როგორიცაა: ინდ დაცვა, ნებართვები, ტრეინინგები, მოწყობილობები და ა.შ.

ადგილობრივმა მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს რომ ყველა კონტრაქტორი, რომელიც შემოდის კომპანიის ტერიტორიაზე არის დატრეინინგებული და შეუძლია სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულება კონტრაქტით გათვალისწინებული საათების ფარგლებში.

- საპასპორტო ან ID ბარათების კონტროლი წარმოადგენს ეფექტურ ზომას კონტრაქტორი პირების კონტროლისათვის.

7.1.6 სამუშაოს შემდგომი შეფასება

სამუშაოს დასრულების შემდგომ ადგილობრივი მენეჯმენტი უნდა დარწმუნდეს, რომ სამუშაო ადგილზე არ არის აღმოცენებული ახალი საფრთხეები, ეს ასევე გულისხმობს შემდეგს;

- ნარჩენები და მოწყობილობები გატანილია სამუშაო ზონიდან.
- ყველა დამცავი ბარიერი და საფარი ადგილზეა;
- სამუშაო ადგილი არის დალაგებული;

ყველა დოკუმენტაცია, ჩანაწერები, ნახაზები და ა.შ. რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით არის ადგილზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის.

დარღვევები და დისციპლინარული სანქციები გათვალისწინებული უნდა იყოს კონტრაქტორთან შემდგომი საქმიანობის გაგრძელებისათვის გადაწყვეტილების მისაღებად.

7.2 კონტრაქტორების მართვა- განმარტებები, წესები და პირობები

აღნიშნულ თავში აღწერილია ის ქმედებები, რომელიც უნდა გაატაროს ჰაიდელბერგცემენტმა, რათა კონტრაქტორებმა დაიცვან შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები.

ჰაიდელბერგცემენტის პასუხისმგებელმა მენეჯერმა უნდა აღწეროს და დააკონკრეტოს კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაო, ამ სამუშაოსთან დაკავშირებული რისკები და პასუხისმგებლობები კონტრაქტორის მიმართ. .

მე-4 დონის კონტრაქტორის მიმართ სავალდებულოა „ავტო ტრანსპორტის მართვის უსაფრთხოების“ სტანდარტის დაცვა.

ტენდერის დროს სატენდერო პაკეტი უნდა მოიცავდეს მინიმუმ:

- სამუშაოს აღწერილობას (საქმიანობას, სამუშაო ადგილსა და გამოყენებულ მოწყობილობებს)
- კონტრაქტორის მიერ შედგენილ რისკების შეფასებას
- ინფორმაციას კონტრაქტორის თანამშრომლების კომპეტენციაზე
- კონტრაქტის სავარაუდო ხანგრძლივობა
- საჯარიმო სანქციებს კონტრაქტორის მხრიდან შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევისათვის.

შეთანხმება კონტრაქტორებთან უნდა მოიცავდეს შემდგომ საკითხებს:

7.2.1 ძირითადი მოთხოვნები

(a) კონტრაქტორმა ორგანიზაციამ უნდა დაიცვას კანონმდებლობითა და კომპანია ჰაიდელბერგცემენტში ამ სტანდარტით, პროცედურებით, ინსტრუქციებით და ა.შ. მოქმედი შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები,

(b) კონტრაქტორმა უნდა აჩვენოს საკუთარი პასუხისმგებლობის ადექვატური დონე

(c) დაუშვებელია კონტრაქტორმა დააკონტრაქტოს ქვე კონტრაქტორი ჰაიდელბერგცემენტთან შეთანხმების გარეშე. ყველა ავტორიზებულმა ქვე კონტრაქტორმა უნდა დაამტკიცოს მზაობა შრომის უსაფრთხოების წესების თანხვედრაში

(d) კონტრაქტორი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ მისი ქვე კონტრაქტორი არის თანხვედრაში შრომის უსაფრთხოებასთან

(e) კონტრაქტორი აანაზღაურებს ყველა ხარჯს რაც გამოწვეული იქნება მისი საქმიანობით ჰაიდელბერგცემენტის სამუშაო ობიექტზე.

(f) კონტრაქტორი უზრუნველყოფს აღჭურვოს საკუთარი თანამშრომლები შესაბამისი ინდ დაცვის საშუალებებით, რაც მოთხოვნილია ჰაიდელბერგცემენტის მიერ.

(g) ყველა სახის ინდ დაცვის საშუალება უნდა იყოს გამართული

(h) ყვლა ხელსაწყო და მოწყობილობა, რაც გამოიყენება კონტრაქტორის მიერ უნდა იყოს გამართული სერტიფიცირებული და ხდებოდეს მათი რეგულარული შემოწმება

(i) გაფრთხილება, კონტრაქტის შეწყვეტა სამუშაოს შეჩერება და სხვადასხვა სახის დისციპლინარული სანქციების გამოყენება მოხდება კონტრაქტორის წინააღმდეგ, თუ მისი საქმიანობა არ იქნება თანხვედრაში შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან.

7.2.2 *<u>შრომის უსაფრთხოებაზე საკონტაქტო პიროვნების განსაზღვრა</u>*

(j) კონტრაქტორი ვალდებულია ყავდეს მინიმუმ ერთი პროფესიულ დონეზე გადამზადებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ჰაიდელბერგცემენტის მენეჯმენტთან ერთად ჩართული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებულ საქმიანობაში

(k) მცირე ზომის კონტრაქტორი ორგანიზაციები (კატეგორია 1 ან 3) შრომის უსაფრთხოების რესურსების გარეშე ვალდებულნი არიან წერილობითი ფორმით დაადასტურონ მათი მზაობა დაიცვან ჰაიდელბერგცემენტისა და ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების წესები და ნორმები

(l) აღნიშნული პიროვნება წარმოადგენს ე.წ. მეკავშირეს კონტრაქტორსა და ჰაიდელბერგცემენტს შორის შრომის უსაფრთხოების საკითხებში, თანამშრომლობს კომპანიის მენეჯერებთან, ესწრება უსაფრთხოების თათბირებს და ა.შ.

7.2.3 *<u>რისკების შეფასება</u>*

(m) კონტრაქტორმა, შესასრულებელ სამუშაოზე უნდა წარმოადგინოს რისკების შეფასება, რისკების შეფასების საფუძველზე შესაბამისი სამუშაო პროცედურები და ინსტრუქციები.

(n) საშუალო და მაღალი რისკის საქმიანობისათვის(მე-2 კატეგორია) კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს სამუშაოს მართვის სპეციფიკური გეგმა, რომელიც უნდა შეიცავდეს მინიმუმ:

- კონტრაქტორის H&S გუნდი (საკონტაქტო ინფორმაცია)
- სამუშაო ობიექტზე შესვლის ორგანიზება
- კონტრაქტორის თანამშრომლების კომპეტენცია
- რისკების შეფასება
- სამუშაო პროცედურები
- საავარიო გეგმები და პირველადი სამედიცინო დახმარება

- კონტრაქტორის მობილური მოწყობილობებისა და ტექნიკის გამოყენება
- ჰაიდელბერგცემენტის მობილური ტექნიკისა და მოწყობილობების გამოყენება
- ინსპექტირებები (შემადგენლობა, შინაარსი და სიხშირე)
- კომუნიკაცია
- ანგარიშგება (შემადგენლობა, შინაარსი და სიხშირე)
- სისუფთავე

7.2.4 <u>კონტრაქტორი თანამშრომლების სწავლებები</u>

(o) კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი თანამშრომლების სწავლებები, რომელიც თანხვედრაში იქნება საკანონმდებლო რეგულაციებთან

(p) კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი თანამშრომლების ტრეინინგი რაც დაკავშირებულია მათ საქმიანობასთან ჰაიდელბერგცემენტის სამუშაო ობიექტზე.

7.2.5 <u>ინციდენტების რეპორტინგი</u>

(q) კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს ყველა სახის ინციდენტის რეპორტირება: სხეულის დაზიანება, ხანძარი და ა.შ.

(r) კონტრაქტორი ვალდებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შეინახოს სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა სახის დოკუმენტაცია

(s) იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორის თანამშრომლები იქცევიან საფრთხის შემცველად, ესეთ შემთხვევაში კონტრაქტორი ვალდებულია მიიღოს დაუყოვნებლივი ზომები

(t) ჰაიდელბერგცემენტის მენეჯმენტი იტოვებს უფლებას გაატაროს შესაბამისი ზომები, როგორიცაა თანხის დაკავება, კონტრაქტის გაუქმება ან კონკრეტული კონტრაქტორის თანამშრომლის გაშვება სამუშაო ობიექტიდან.

8 დანერგვის პროცესი და კონტროლი

ხარვეზების ანალიზი უნდა ჩატარდეს სტანდარტის დამტკიცებიდან მინიმუმ 3 თვის მანძილზე. ხარვეზების დაფიქსირების შემთხვევაში უნდა შედგეს სამოქმედო გეგმა მათ აღმოსაფხვრელად სადაც გაწერილი იქნება ყველა სახის ღონისძიება და პასუხისმგებელი პირები. ყველა ხარვეზი აღმოფხვრილი უნდა იყოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში მაგრამ არა უმეტეს 2020 წლისა.
იმპლემენტაციის პროცესი შემოწმებული უნდა იყოს. მაგალითისათვის H&S მენეჯმენტ სისტემის აუდიტი.
MBO მიზნები უნდა დაწესდეს იმ ფუნქციების შესასრულებლა, რომლებიც განსაზღვრავენ კონტრაქტორების საქმინობას, რათა წახალისდეს არსებული სტანდარტის დანერგვის ეფექტურობა. მიზნები ფოკუსირებული უნდა იყოს მიმდინარე ინდიკატორებზე და არა ნარჩენ მაჩვენებლებზე.

9 დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჯგუფის ელექტრონულ გვერძე: http://unite.grouphc.net/wok/hs/Pages/default.aspx

საკონტაქტო ინფორმაცია

დრ. კლაუს ჰორმანი
ჯგუფის H&S მენეჯერი
ჯგუფის ადამიანური რესურსები
ტელ: +49 6221 481 32007
klaus.hormann@heidelbergcement.com